წელიწადი მეორე
ფასი 5 კაპ.
შაბათი, 20 მარიამობისთვე 1916 წ.
№ 185

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციისა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კანტორის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელ. 1 მ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. საქართველო წელიწადი მეორე.
ფასი ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
პროვინციაში: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 8 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი ხარიტონ შანშიაშვილი.

განცხადება
გამგეობა კახეთის წვრილ კრედიტის დაწესებულებათა კავშირისა იწვევს ინსტრუქტორ-რევიზორს.
ჯამაგირი წლიურად 1800 მანეთი, სამგზავრო ბილეთი მეორე კლასისა, დამატებით დღიურად 5 მანეთი.
თხოვნები უნდა გამოიგზავ. კავშირის გამგეობის სახელობაზედ ქ. თელავში
(5-214-5)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია
ყოველ დღე მზადდება
საუზმე, სადილები, ვახშმები
ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით ხილ. ს. გიგიბერია.

ახალი მელანი
კოტე ონიკაშვილისა
მელანი ასლის ასაღებადაც („კაპიროვკისთვის“) კარგია
დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში
ვინც ორ თუმანზე მეტს გამოიწერს შუშით (ფლაკონით) ეღირება: გირვანქა—1 მ., ½ გირვანქა—50 კაპ. ¼ გირვანქა—30 კაპ.
ვისაც ფუთობით ჰსურს გაიწეროს უფლაკონოდ ერთი ფუთი ღირს 35 მან.
გასაგზავნს ფასს ნახევარს ჩვენ ვიხდით. ფასდადებით მელანი გაეგზავნება, ვინც მესამედს ფასს წინადვე გამოგვიგზავნის.
მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს
მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. გაგრაში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იყიდება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)
შაბათს, 20 მარიამობისთვეს
გაიმართება რუსულს ენაზედ შესანიშნავი წარმოდგენა
„კაბარე“
მონაწილეობენ საუკეთესო არტისტები.
ბაღში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
(1—220—1)

ყველამ იცის, რა ბედი ეწვია დაბა სამტრედიას 15 ივლისს. დაზარალებულთა შორის ყველაზედ მეტი ზარალი ბედმა მარგუნა მე და უნუგეშო მდგომარეობაში ჩამაყენა, ამისათვის ვსთხოვ ყველა ჩემს მუშტრებს შევიდნენ ჩემს მდგომარეობაში და
ნისიები გამოგზავნონ
წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები გამოვაცხადო მათი სახელი და გვარი გაზეთის საშვალებით, ვადას ვიძლევი ორს კვირას დღიდგან ამა ჩემი განცხადების გამოქვეყნებისა.
(2—1)
პატივისცემით ბარნაბა ი. კორძაია.

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.)
ტელეფონი 5—96.

ექიმი
მ. ი. ვარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ.
ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. შაჰბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ვამზადებთ პიროვნით
პრაპორშჩიკთა სკოლისათვის. მეცადინეობა დაიწყო. მსურველთა მიღება გრძელდება. პირადათ მოლაპარაკება ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე.
მისამართი: მოსკოვის ქუჩა, № 24. ბინა 1. (თ-128-23)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის აზვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან იღებს მანგლისში
კორპუსის ბანაკში

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიუნდის ქუჩა, № 19.

დ. ზესტაფონში
ექიმი
დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

თბილისი, 20 მარიამობისთვე.

კიდევ ჭიათურაზე. ჭიათურის შავი ქვის საბჭო სიცოცხლის ნიშნებს არ იჩენს და არავითარ ცნობას არ იძლევა იმის შესახებ, აპირებს, თუ არა გამოვიდეს როგორც მყიდველი ჭიათურის იმ მამულებისა, რომელნიც „ჰელზენ-კირხენისა“ და „კავკასიის სამადნო საზოგადოების“ ფირმებს ჩამოართვეს. და ეს იმ დროს, როდესაც სალიკვიდაციო კომისიის მუშაობა მიიწურა და დღეს თუ ხვალ შესაძლებელია ხსენებული მამულები გაიყიდოს. მთელი ქართველი საზოგადოების გულისყური ამ საქმეში შავი ქვის საბჭოსკენ იყო მიპყრობილი, ყველა მოელოდა, რომ საბჭო საზოგადოების ხმას ანგარიშს გაუწევდა და პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამდა. მაგრამ დღემდე ეს მოლოდინი არ გამართლებულა. საბჭოს ასეთი საქციელი მით უფრო გაუგებარია, რომ ჭიათურის მრეწველთა „სიეზდის“ ქართველ წევრთა უმრავლესობის აზრი და სურვილი ის არის, რომ ამ მამულების მყიდველად თვით მრეწველთა საბჭო გამოვიდეს.

რადგან საბჭომ აქამდის არ მოისურვა ან ვერ შესძლო გამოერკვია, თუ რა გზას დაადგებოდა ამ საქმეში, რადგან მან არ ინება, ან ვერ მოახერხა ამის თაობაზე გადაჭრილი რამე ეთქვა ქართველ საზოგადოებისთვის, ეს საკითხი უნდა გაირჩეს თვით „სიეზდზე“. და საბჭოსაც მეტი გზა არ ექნება, „სიეზდის“ დადგენილებას დაემორჩილება. აუცილებელია, შავი ქვის წარმოების ქართველმა მრეწველმა აღძრან საკითხი საგანგებო „სიეზდის“ მოწვევის შესახებ. დაყოვნების დრო აღარ არის. სალიკვიდაციო კომისია თავის მუშაობას მალე დაამთავრებს და მთავრობაც შეუდგება მყიდველებ-შორის ყველაზე უფრო საიმედო პირის არჩევას. დღეს ქართველი საზოგადოება საბჭოს შეჰყურებს. იგი სხვა გზას არ დაეძებს, რადგან საბჭო ყველაზე საიმედოთ მიაჩნია, და თუ გამოირკვევა, რომ საბჭო მის ხმას ყრუდ დაურჩება, და თუ ვერც „სიეზდმა“ გამოიჩინა სათანადო შეგნება, მაშინ საზოგადოება სხვა საშუალების გამოძებნას შეუდგება.

ქართველ მრეწველთა საზოგადოება

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ჭიათურიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია. ავტორი კორესპონდენციისა მეტად საგულისხმო ამბავს გადმოგვცემს; ქართველ მრეწველებს განუზრახავთ შეერთება და ერთი საზოგადოების დაარსება. არავისათვის დაფარული არ არის, რომ ჭიათურის შავი ქვით ყველამ ისარგებლა, გარდა ქართველებისა. რომ თავი გავანებოთ იმ ევროპიელებს, რომელთაც ჭიათურაში დიდძალი კაპიტალი შემოიტანეს და საუკეთესო მოწყობილი ქარხნები გამართეს, და რომელთაც ექსპლოატაციას ნამდვილი ევროპიული ხასიათი მისცეს, ჭიათურაში თავი მოიყარა აუარებელმა სხვა და სხვა ტომისა და რჯულის ხალხმა, რომელსაც თან ერთი გროში არ ჩამოუტანია და რომელიც დღეს დიდი სიმდიდრის პატრონი გამხდარა. ეს გაქნილი სპეკულიანტები უმთავრესად ადგილობრივ წვრილ ქართველ მესაკუთრეების სიბრიყვით და სიბნელით სარგებლობდენ. ქართველი თავის ქვეყანაში უმწეო იყო, პირველი ლუკმა ვინმე ჩამოსული გაფცქენილი უცხოელისა.

დღეს ჭიათურის ქართველ მრეწველთა შორის ნათელი აზრი დაბადებულა. ამ შემოსეულ მძარცველებისაგან ქართველ მრეწველთა ინტერესის დაცვას უკვე შეგნებული ფორმა მიუღია. განზრახულია დაარსება ქართული, ოფიციალი საზოგადოებისა, რომელმაც უნდა შემოიკრიბოს ყველა ქართველი მრეწველი და ერთი მიზანშეწონილი ეკონომიურ-ეროვნული საქმიანობა აწარმოოს. ყველა იმ ეკონომიურ-ორგანიზაციულ საქმიანობასთან, რომლის მოწმე ვართ საქართველოში ამ ბოლო დროს, ჭიათურის ქართველ მრეწველთა საზოგადოების დაარსება უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ჩვენი ერის ფსიხოლოგიაში მომხდარი ღრმა ცვლილება პრაქტიკული საქმიანობაში სახიერდება. დაქსაქსულობის და გაფანტულობის ხანამ თავისი დრო მოჭამა და დადგა დრო შეერთებისა და ორგანიზაციისა.

ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ჭიათურის ქართველ მრეწველთა ამ ჩინებულ აზრს და ვუსურვებთ მის კეთილად განხორციელებას ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განსამტკიცებლად.

Nomo novus.

ეროვნული ვითარება

სომხეთის ბედი. „კავკაზსკოე სლოვოში“ მოთავსებულია ვინმე „მაგისტრანტის“ შემდეგი წერილი შესახებ დაპყრობილ ოსმალეთის მომავლისა.

„ოსმალეთის სომხეთის ავტონომია მკვდარია, რომლის დამარხვა სომხებს ჯერ კიდევ ვერ გაუბედიათ და თან დააქვთ; „სომხური ავტონომია“ ყოველთვის უტოპია იყო; ავტონომიური მმართველობის ოსმალოების ხელიდან გამოგლეჯა კიდევ შეიძლებოდა... და რომ გერმანეთი არა, რუსეთი მოახერხებდა ამას, მაგრამ თვით სომხები რას მოიგებდენ,—ისინი ხომ ომამდისაც უმცირესობას შეადგენდენ და ავტონომიის შემოღებით მხოლოდ იმას მიაღწევდენ, რომ კონსტანტინოპოლის საიმპერიო პარლამენტის მაგიერ მათი ბედი ადგილობრივ აზრუმის სეიმს ჩაბარდებოდა, რომელშიაც უმრავლესობა მაჰმადიანთ ეკუთვნის.

ომის შემდეგ კი სომხის ერი გადიქცა დარბეულ გადმოხვეწილთა გროვათ და დაიბნა კავკასიის, შუამდინარის და სირიის მიდამოებში; ყველა ესენი რომ კიდეც დაბრუნდნენ სამშობლოში და ამერიკაში გადასახლებული სომხებიც რომ თან მიჰყვენ (თუმც ისეთი ცოტა იქნება, რომ ახალი სამშობლოს მოწყობილი ცხოვრება ძველ დარბეულ სომხეთის ცივ და ხრიოკ კლდეებს ანაცვალოს),—სულ ერთია, ამგვარი მასალით საკუთარ ხელმწიფების შექმნა შეუძლებელია; ახლა ისიც მიიღეთ მხედველობაში, რომ დაპყრობილ ოსმალეთში მაჰმადიანებიც ცხოვრობენ და ისინიც თანდათან მრავლდებიან.

ვერც ინგლისი და ვერც საფრანგეთი რუსეთის დაუკითხავად „ავტონომიურ არმენიას“ ვერ დააარსებენ (ინგლისის ჯავშნოსანი გემები ვანის ტბასთან ხომ ვერ მივლენ) და რუსეთი კი, თვით კერენსკიც რომ ჩასდგეს მთავრობის სათავეში, რასაკვირველია არ მოისურვებს რუსული „შტიკების“ დახმარებით შექმნას და შემდეგ დაიფაროს კიდეც ვილაცასთვის და რაღაცასთვის შექმნილი „ავტონომიური ვანის ოლქი“.

თუ რუსეთს სჭირია ვანი, ბითლისი და მუში, იგი კიდევაც შემოიერთებს მათ და მომართავს ისე, როგორც ყარსის და ერევნის სომხებით დასახლებული „უეზდები“; ვერავინ ვერ დაატანს ძალას რუსეთს, რომ თავის საზღვრებში „ავტონომიური სომხეთი“ შექმნას; და თუ საზავო კონგრესზე ვინმემ მართლაც სცადა ასეთი გავლენა, ამით რუსის ხალხს აამხედრებს არა მარტო თავის წინააღმდეგ, არამედ თვით იმათ წინააღმდეგაც, ვინც მათ ზურგს უკან იდგომება (ე. ი. სომხების); რუსეთმა 1912 წელს სამხრეთის რეფორმის საკითხი იმიტომ აღძრა, რომ ეს ოსმალეთს შეეხებოდა და რაკი სომხეთი რუსეთის საზღვრებში მოიქცა, სომხური საკითხიც მოსპობილია...

ომის ბოლო უკვე სჩანს; ინიშნება უკვე ომის შედეგებიც; კერძოდ, რაც შეეხება ოსმალეთს, იქნებ ჰესიმისტებს ის არა სჯეროდეთ, რომ კონსტანტინოპოლი და სრუტეები გვერგება, თორემ ოსმალეთის სომხეთისა და ოსმალეთის საქართველოს შესახებ არვინ ეჭვობს, რომ ისინი მთლად ჩვენ საზღვრებში შემოვლენ და ჩვენი საზღვარი ბათომიდან ტრაპიზონამდე ან კიდევ უფრო იქით, ოლთისიდან ბაიბურთამდეა, ყარსიდან ერზინჯიანამდე ან და თვით სივასამდე და ერევნიდან ვანამდის და მუშამდის გაიწევს; რეალისტური სომხური აზროვნება სწორედ ამაზე უნდა აშენებდეს თავის მოქმედების გეგმას; მხოლოდ მაშინ, როდესაც სომხის პოლიტიკოსები უარყოფენ ავტონომიის უტოპიურ იდეალს, შეგვეძლება იმის გარდაწყვეტა თუ როგორ უნდა მოაწყოს დაპყრობილ ოსმალეთის მიწის და მმართველობის საკითხი, შემოვიღოთ იქ ყარსის და ბათუმის ოლქში არსებულ სამხედრო გამგეობა-ადმინისტრაცია, თუ საერთო ხასიათის მმართველობა; ან და ქურთებისგან დაცლილი ადგილები მხოლოდ რუსის ტომით დავასახლოთ, თუ ამიერ კავკასიის უმიწო გლეხებს ვარგუნოთ იგი, ამგვარად ეს ომი გააერთიანებს სომხეთს კავკასიის საზღვრებში და მას საქართველოსაებ შეეძლება კულტურულეროვნული და ეკონომიური აღორძინებისათვის ზრუნვა.

პოლიტიკური აღდგენის ოცნება კი სომხებმა საბოლოოდ უნდა მიივიწყონ და უტოპია რეალურად მისაღწევ ნაციონალურ მიზანს ანაცვალონ“.

ასეთია ბ-ნ მაგისტრანტის წერილი; სჩანს, მთლად გაკოტრებულა სომხური ავტონომია თუ თვით დოლუხანოვების გაზეთი უგალობს მას „სულთათანას“!..

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

რუმინეთის და ავსტრიის შორის გუშინდელ ოფიციალ დეპეშის ცნობით ბრძოლა უკვე დაიწყო. რუმინეთის ჯარმა გადალახა საზღვარი, ტრანსილვანიას შეესია და რამდენიმე სანაპირო ადგილები უკვე დაიკავა. ჯერ-ჯერობით ყოვლად შეუძლებელია გამოცნობა იმისა, თუ ორივე ახალი მოპირდაპირე როგორ ოპერაციას აწარმოებენ. ეტყობა ავსტრიელები უკან იხევენ, არც ის ვიცით, რას ჰფიქრობს გერმანეთი ან და ჰყავს კი რუმინეთის საზღვრებზე თავის ჯარი.

უფრო საყურადღებო ცნობად უნდა ჩაითვალოს რუსეთის ჯარის დობრუჯში შესვლა. ამ გზით ბულგარეთისაკენ მიეშურებიან და ჩვენ მოწმეები გავხდებით ბულგარელები როგორ დახვდებიან თავიანთ მოძმეებს. საზოგადოთ ბალკანეთის საკითხი ძლიერ გამწვავდა და ადვილი მოსალოდნელია ამ ბრძოლის ველმა არსებითად შესცვალოს მსოფლიოს ბედ-იღბალი.

დანარჩენ ადგილებში ღირსშესამჩნევი არა მომხდარა-რა, გარდა კავკასიის ბრძოლის ველისა, სადაც ოსმალებმა იერიშები განაახლეს გიუმიშხანის მიმართულებით.

X.

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბიხა

პეტროგრადი, 18 მარ. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. სტოხოდის ნაპირზე დასავლეთით დილით 17 მარ. არტილერიის მცირე მომზადების შემდეგ გელენინის ნაწილში ჩრდილოეთით მოწინააღმდეგემ იერიში მოიტანა, მაგრამ დიდის ზარალით უკუაქციეთ. კოველის მიმართულებით, ვალიცკის მიდამოებში მოწინააღმდეგის ორმა ჰაეროპლანმა ჩვენს ჰაეროპლანზე იერიში მოიტანა, რომელიც მოიგერიეს და დაზიანებული ჩვენს ადგილებში ჩამოაგდეს. მამაცი მფრინავები პორუჩიკი ტიხომიროვი და მზვერავი პორუჩიკი დანილევიჩი დაიღუპნენ.

კავკასიის ასპარეზი. გიუმიშხანის მიდამოებიდან დასავლეთით ოსმალთა იერიშები დიდის ზარალით მოგერიებულ იქმნა. ბრძოლის ველზე მრავალი დახოცილი დარჩათ. დიარბექირის მიდამოებში ჩვენი წინსვლა გრძელდება. ვანის ტბასთან ჩვენი ნავი ს. ცეხასთან მოწინააღმდეგის ბანაკს მოხერხებულად ესროდა.

პარიზი, 17 მარიამ. საღამოს ოფიციალი ცნობა. სომის მიდამოებში არტილერია ზომიერად იბრძოდა. კვლავინდებურად ცუდი ამინდებია. ლოტარინგიაში რელიონის ნაწილში მოწინააღმდეგის რაზმები ორჯელ შეეცადნენ ჩვენს ხაზს მოახლოვებოდნენ, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. დანარჩენ ფრონტზე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

ლონდონი, 17 მარიამ. ინგლისის შტაბის ცნობა საფრანგეთიდან. ძველებურად ცუდი ამინდებია. სამხედრო ოპერაციები წვრილ საქმიანობით განისაზღვრება. გალემონის მახლობლად მოწინააღმდეგე ორჯელ შეეცადა, მაგრამ უკუ ქცეულ იქმნა. ნევილსენ-ვასტას მახლობლად მოწინააღმდეგის თხრილებზე იერიში მივიტანეთ. ზარალი არ მოგვსვლია, 8 ტყვე შევიპყარით.

რუმინეთის გარშემო.

ბუქარესტი, 16 მარიამობისთვე. რუმინეთის შტაბის პირველი ოფიციალი ცნობა. 15 მარიამობისთვეს დაწყებული მობილიზაცია წესიერად სწარმოებს. ავსტრია-ჰუნგრეთს ომი გამოუცხადეთ 15 მარიამ. ცხრა საათზე; იმავე ღამეს რუმინეთის ჯარმა გადალახა ავსტრია-ჰუნგრეთის საზღვარი; მოკავშირე რუსეთის ჯარმა დაიწყო დობრუჯით სვლა; ხალხი მათ აღტაცებით ხვდება; რუსის ფლოტი მოვიდა კონსტანცაში და გვეხმარება შავი ზღვის ნაპირის დაცვაში; ავსტრია-ჰუნგრეთის სამხედრო გემები და ბატარეები ესროდენ ვიორჩეროვოს, ტურნისევერინს და ჟურჟევოს.

ბუქარესტი, 17 მარიამობისთვე. ოფიციალი ცნობა; ჩრდილოეთით და ჩრდილო—დასავლეთით ჩვენი ჯარი საჩქაროდ განაგრძობს წინსვლას ყველა მიმართულებით; ჩვენ დავიპყარით ვალეატარდანჯეი, სატული, დარსტიე, ბრაშევოს ახლო, და აგრეთვე თვალსაჩინო სამრეწველო ქალაქი პეტროშენი; დანაკლისი მცირე გვაქვს.

სამხრეთი ფრონტი. ავსტრია-ჰუნგრეთის გემები ესროდენ ზიმნეციას; 16 მარიამობისთვეს, ღამით ბუქარესტს ყუმბარები დაუშინა ცეპელინმა და აეროპლანმა; ზიანი არა ყოფილა-რა.

სტოკჰოლმი. ვენიდან იტყობინებიან რუმინეთის ჯარი წინ მიდისო; საზღვარზე დაბანაკებული ავსტრია-ჰუნგრეთის ჯარი თანდათან უკან იხევს; რუმინელებმა დაიპყრეს პეტროშენი, კრონშტადტი, კეზდი და ვასარგელი; ავსტრია-ჰუნგრეთის ჯარი ებრძვის ჩრდილოეთით მომავალ რუმინელებს გერგის მთებში.

ოდესა. სანდო პირების გარდმოცემით რუმინეთში მივიდნენ სერბიელთა ჯარები; მათი მოთავეა სტეფანე გადუიჩი, ყოფილი უფროსი შტაბისა.

ამსტერდამი. სტამბოლიდან ცნობა არის, რომ ოსმალებმა ომი გამოუცხადა რუმინეთსო.

ბუქარესტი. საამხედრო მინისტრად დაინიშნა ვინტილა ბრატიანუ, მინისტრთა თავმჯდომარის ძმა.

ბუქარესტი. მეფე ფერდინანდის მანიფესტი რუმინეთის ერის მიმართ:

„რუმინელებო! ომმა, რომელიც უკვე ორი წელია, რაც ჩვენს საზღვარს რკალივით გარს ერტყმის და რომელმაც ევროპის წინანდელი საძირკველი მძლავრად შეარყია, ცხადჰყო, რომ გათენდა ის დღე, რომელსაც ერის შეგნება უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც ელის, დღე, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს ერის მშვიდობიანი ცხოვრება მომავალში და დაასრულოს ის, რაც შეჰქმნეს რუმინეთის სახელმწიფოს ამშენებლებმა რუმინეთის ორი სამთავროს შეერთების, განმათავისუფლებელი ომის და თავიანთი შეუჩერებლივი ღვაწლის წყალობით; ახლა უნდა სამარადისოდ სრულ ვქმნათ ის, რაც მხოლოდ ერთი წამით განახორციელა მიხეილ მამაცმა, სახელდობრ უნდა შევაერთოთ კარპატის ქედის ამიერი და იმიერი და აგრეთვე ბუკოვინის რუმინეთი, სადაც რამოდენიმე საუკუნეა, რაც განისვენებს სტეფანე დიდის ნეშთი; ჩვენ თვითონ, ჩვენ ვაჟკაცობას და გმირობას ეკითხება განსვენებულ წინაპართა მართებული პატივისცემა, რათა შევქნათ მდინარე ტისიდან შავ-ზღვამდის მდებარე დიდი თავისუფალი რუმინეთი, სადაც ჩვენი ხალხი მშვიდობით იცხოვრებს, ჩვენივე ტომის ჩვეულებათა და ზრახვათა თანხმობით. რუმინელებო! მოვიგონოთ ჩვენი წმიდა ვალი, გარდავსწყვიტოთ ომისათვის საჭირო მსხვერპლის დაუზარებელი გაღება, და ვიბრძოლოთ იმგვარი ყველაფრის შემმუსრავი გულის გატაცებით, როგორიც ახლავს ხოლმე თავის ბედის შეურყევლად მორწმუნე ერს.

მაშ წინ ღვთის დახმარებით! მეფე ფერდინანდი.

ქურნალ-გაზეთებიდან

ბუქარეშტში

ბუქარეშტში ცხოვრებამ სულ მთლად გამოიცვალა ფერი; წვრილი ფული აღარ იშოვნება; ხალხი საათობით უცდის სახელმწიფო ბანკის წინ, რომ ფული დაახურდავოს. ჯარით სავსე მატარებლები მიდიან საზღვრებისაკენ; ღამით ჰაეროპლანები საცდელად ფრინავენ.

რუმინეთის სარდალი

რუმინეთის ჯარის მთავარ სარდლათ დანიშნულია მთავარი შტაბის უფროსი, გენერალი ილიესკუ, რომელსაც სამხედრო განათლება საფრანგეთში აქვს მიღებული.

ბრინდეჟონ დე-მულინე

რამოდენიმე დღის წინად ვერდენთან დაიღუპა გამოჩენილი ფრანგი მფრინავი ბრინდეჟონ დე-მულინე; იგი იყო 1913 წელს რომ გადაიფრინა ჰაეროპლანით პარიზი—ბერლინი—ვარშავა—პეტროგრადი—რეველ — სტოკჰოლმი—კოპენჰაგენი—გაага — ბრიუსელი და ისევე პარიზში დაბრუნდა; მთელი ეს გზა 18 ათასი—კილომეტრი მან ორი თვის განმავლობაში გაიარა; ომის დაწყებისას დე-მულინე სამხედრო სამსახურში შევიდა და ახლა კიდეც დაიღუპა ვერდენთან; იგი სულ 23 წლის იყო.

რუმინეთის მოქმედება.

გაზეთ „რეჩის“ სიტყვით რუმინეთის ჯარი იმოქმედებს ბრუსილოვის და სარრაილის ჯართან სრული თანხმობით; არაა ეჭვი, რომ მისი მთავარი ასპარეზი ტრანსინვალია იქნება და არა დობრუჯა; ავსტრიელების მთავარი ჯარი მზად არის ტრანსილვანიის საზღვრის გასწვრივ, ორშოვიდან მარმაროშ-სიგეტამდე.

ამავე დროს აუცილებელია რუსების და რუმინების ჯარის ერთობლივი შესევა ბულგარეთში, რომელსაც სალონიკიდან მოუხდება მომავალ მოკავშირეთა ჯარისგანაც თავის დაცვა.

ბალკანეთის გამო.

„ბირჟევია ვედომოსტების“ სამხედრო მიმომხილველი, კ. შუმსკი სწერს: საეჭვოა, რომ ბულგარელებმა ან მოკავშირეებმა რაიმე დიდი ოპერაცია დაიწყონ ამ ჟამად; ამისათვის მათ არც თავისუფალი რეზერვები აქვთ და ბალკანეთიც მეორეხარისხოვანი ასპარეზია; ორივე მხარეს სწადია მხოლოდ ფრანგის ხაზის გაუმჯობესება, რათა ზამთარში მოსალოდნელ დიდ ოპერაციისთვის ხელსაყრელი პირობები მოამზადონო.

მოკავშირენი ბალკანეთში

ნიდერლანდის გაზეთების ცნობით მოკავშირეთ სულ 400.000 ჯარის კაცი ჰყავთ ბალკანეთში; ამათში 265 ათასი ფრანგია, 125 ათასი ინგლისელი და 25 ათასი სერბიელი; ახლა ამათ იტალიელებიც მიემატნენ და რუსებიც; კუნძულ კორფუზე რაც სერბიელები იყო სულ სალონიკში გაუგზავნიათ; დაუტოვებიათ მხოლოდ ავადმყოფები.

კავკასიის ფრონტი.

„დენის“ სამხედრო მიმომხილველი, დიმიტრიევი სწერს მუშის აღების გამო: მუშიდან გზა მიდის ხარფუთისაკენ; თუ აქაც რუსებმა გაიმარჯვეს, აი მაშინ ბოლო მოეღება დიარბექირის და მოსულის მხრით ოსმალების შემოტევას, რადგან ხარფუთი ამ სიმაგრეთა კვანძიაო.

ბერძნები და ბულგარელები.

როდესაც ბულგარელები კავალაში შეიჭრენ, ბერძნებმა ციხე-სიმაგრენი ზარბაზნებითურთ უვნებლად დაუთმეს. სამი დივიზია, რომელიც მას იცავდა, ქალაქიდან გამოვიდა, უკან დაიხია; ზარბაზნების ჩაბარებას იმით ჰხსნის, რომ დრო არ გვქონდა მათ გადმოსაზიდათო.

რუმინეთი და გერმანეთი.

რუმინეთს ომის გამოცხადებამდის სულ 50 მილიონის ღირებული პური მიუყიდია გერმანეთისათვის. სამაგიეროდ კი მხოლოდ 7 მილიონის საქონელი მიუღია.

ოსმალები გალიციაში.

„პეიე ფრეიე პრესსე“-ში დაბეჭდილია გენერალ იმგოფის წერილი შესახებ გალიციაში მყოფ ოსმალებისა; ამ ფაქტს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ამტკიცებს ოსმალეთის სახელმწიფოს სამხედრო ძალოვანებასო.

უკანასკნელი დეპეშები

ერზინჯანიდან არზრუმში მრავალი სომეხი ლტოლვილი მოვიდა. მათ შორის ბევრი ავადმყოფია.

—

რუსის ჯარი რუმინეთში შევიდა.

—

ავსტრიელებმა რუმინეთის საზღვარზე მოქმედება დაიწყეს. ესვრიან ქალაქ ორშოვას.

—

სამხედრო უწყება უარჰყოფს ქუთაისში გავრცელებულ ხმას, ვითომც ბათომთან ტრაპეზონში გაგზავნილი ორი რუსის რაზმი წყ ლქვეშას დაეღუპოს.

—

ბაქოში ხოლერა გაჩნდა.

—

რუმინეთში დასტოვეს ბულგარეთის და ოსმალეთის ელჩები.

—

რუმინეთს შეუძლიან ნახევარი მილიონი ჯარი გამოიყვანოს და ამდენივე სათადარიგოდ იყოლიოს. სტრადეგიულ მდგომარეობის მიხედვით, რუმინეთი იერიშის გზას უნდა დაადგეს, რათა ამით ომის კვანძი მალე გაიხსნასო. ამბობენ, რუმინეთის ომში ჩარევა იმედის მომასწავებელია, რომ ომი მალე გათავდებაო.

—

ამბობენ, საბერძნეთიც მოკავშირეებს მიემხრობა და მალე ჩაერევა ომშიო.

—

გერმანეთის და ავსტრია-ჰუნგრეთის მთავრობა შეთანხმებულა ბავარიის პრინცი ლეოპოლდი ავტონომიურ პოლონეთის მეფედ გამოაცხადონ.

—

ფლორინასა და მის მიდამოებში მაკენზენმა განცხადება გააკვრევინა, სადაც ნათქვამია, რომ ბულგარეთის ჯარი იძულებულია მაკედონიაში შეიჭრას, რადგან მოსალოდნელია მოკავშირეებმა იერიში მოიტანონო. ბულგარეთის ჯარი მშვიდობიან მცხოვრებთ არაფერს დაუშავებსო.

ჭიათურის სალიკვიდაციო მამულის გარშემო.

დანამდვილებით გავიგეთ, რომ ჭიათურის სალიკვიდაციო მამულების ერთ-ერთ მყიდველად გამოდის ერთი კარგად ცნობილი ქართველი მრეწველი და ინჟინერი, რომლის გარშემო შემოკრებილან მდგომარეობით გავლენიანი და საკმაო თანხით აღჭურვილი პირები.

ახალი ამბავი

◆ **სასახლეში.** მეფის ნაცვალს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს წარუდგა მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებული კავკასიაში კ. ი. შაშკოვსკი და მოახსენა მის უმაღლესობას სასურსათო საქმის მდგომარეობა კავკასიაში საზოგადოთ და თბილისში კერძოდ.

◆ **გამოძიება.** სურსათის საკითხის გამო შაშკოვსკის გარშემო ატეხილი ამბების გამოძიება მეფის ნაცვალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, მიანდო თავის საბჭოს წევრს ი. ნ. პროტასიევს. ეს გამოძიება მოხდება მეფის ნაცვლის, სამოქალაქო ნაწილის თანაშემწის, თ-დ ორლოვის პირდაპირის ზედამხედველობით.

◆ **განყოფილება ტრაპიზონში.** ქართ. საქვ. მოქმ. საზ. გამგეობამ დაადგინა ტრაპიზონში განყოფილება გახსნას.

◆ **რევიზია.** ამ დღეებში თბილისში მოელიან უწმ. სინოდის სამოსწავლო საბჭოს წევრს გიორგიევსკის, რომელსაც მინდობილი აქვს რევიზია სამრევლო სკოლების თბ. საეპარქიო და საოლქო საბჭოებისა.

◆ **კ. ი. შაშკოვსკი,** თანახმად მიწად-მოქმედების მინისტრის სწრაფი გაწვევისა, გუშინ გაემგზავრა პეტროგრადს.

◆ **პოლკ. მარტინოვი,** შავი ზღვის პირის გუბერნატორი, უმაღლესი ბრძანებით დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან თანახმად მისი თხოვნისა.

◆ **კავკასიის მუზეუმის უფროსი** მოლარე ბ. პფიცენმაიერი და ბიბლიოთეკარი ბ. შმიდტი დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან.

◆ **გაძევება კავკ. ოლქიდან.** კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარ უფროსის განკარგულებით იგზავნებიან კავკასიის ოლქიდან საომარ წესების მოხსნამდე, ცნობილი ვაჭრები თბილისისა არუთინ სეილანოვი და ჰაჯი რახმანოვი. მათ ბრალდებათ სპეკულიაცია შაქრის ფხვნილისა, რომელიც აწეულ ფასებში იყიდებოდა.

◆ **მევენახეთა საყურადღებოდ.** მ. ე. ფრიდონოვის კანტორამ უკვე მიიღო საკმაო რიცხვი გოგირდი და შაბიამანი. ვისაც დაკვეთილი აქვს ამ კანტორიდან ეს საწამლებელი ნივთიერება უნდა წაიღონ 1 ენკენისთვემდის, წინააღმდეგ შემთხვევაში კანტორა გაბათილებულად ჩასთვლის მათ პირობას და საწამლებელი ნივთიერება სხვაზე გაიყიდება.

◆ **კარტოფილის შესყიდვა.** კავკ. მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირმა შეისყიდა დიდძალი კარტოფილი 75 კ. ფუთი ჩრდილოეთ კავკასიაში.

◆ **ცნობები ობერ-პოლიცმეისტერის** თანამდებობის დაწესების შესახებ თბილისში უკვე შეგროვდა. ეს ცნობები შეეხება ქალაქის სივრცეს და ტოპოგრაფიულ მდგომარეობას, კეთილ-მოწყობილობას, ქალაქისკენ შემოსავლელ გზებს, ვაჭრობა-მრეწველობას, საქონლის მოძრაობას, ქარხანა-სამრეწველოებს, ბაზრებს და სავაჭრო პუნქტებს, მთავრობის დაწესებულებებს, საზოგადო დაწესებულებებს, ხალხის ჯანმთელობას, სასწავლებლებს, პერიოდიულ გამოცემათ და სტამბებს, კლუბ-თეატრებს და სხვა გასართობ ადგილებს, სასტუმროებს და სხვ.

◆ **თბილისში ჩამოვიდა** ვაჟთა მეორე გიმნაზიის ახლად დანიშნული დირექტორი ნ. ნ. უსპენსკი და კავკ. სასწავლო ოლქის უფროსს წარუდგა.

◆ **გორის თავად-აზნ. კრება.** ხვალ გორში დანიშნულია ამ მაზრის თავადაზნაურთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს ხიზანათა საკითხი, ტყის დაცვის საქმე, გერმანელთა ჩამორთმეულ მიწების შესყიდვისა და სათავადაზნაურო საზოგადოების შედგენა, რომელიც გასწევს იჯარადრობას მთავრობის დაწესებულებათა წინაშე სხვა და სხვა სახაზინო საქმის ასაღებად, კრებას მოხსენდება ვრცელი მოხსენება ამ საკითხთა შესახებ გორის მაზრის მარშლის თ-დ რ. ერისთავისა.

◆ **ილიასეულ მამულის** დასათვალიერებლად გაემგზავრა საგანგებო კომისია.

◆ **ფუნიკულერმა** კვლავ დაიწყო მოძრაობა, რადგან ანტრაციტი უკვე მიიღო.

◆ **სახაზინო პალატის** გაფართოების საკითხის შესახებ ჩამოსულმა რევიზორმა სახელმწიფო ხაზინისამ ბ-ნმა პასინკოვმა უკვე დაამთავრა ამ საკითხის გამოკვლევა და გაემგზავრა პეტროგრადს.

აკაკის დაუბეჭდავი ლექსი

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილს

სიმართლეს ვამბობ, როგორც მგოსანი
და თუ ტყუილი ვისმეს ჰგონია,
ს ჩანს, რომ პირადად მე ის ვერ მიცნობს
და სხვისგან რამე გაუგონია.

—

მდიდარ-ღარიბი, ხარისხოვანი
და უხარისხოც ჩემთვის ერთია!
სადიდებელი და სათაყვანო,
რომ განვასხვავო, მხოლოდ ღმერთია!

—

შენ მე ვერ მიცნობ მაგრამ მე გიცნობ!..
დიდი ხანია, რაც გიკვირდები!..
შენ იმას აძლევ ამ ჩვენს ქვეყანას,
რასაც არ ამბობ და არ პირდები.

—

საქმე კეთილი რომ გამომჟღავნდეს,
შენ ერიდები... ეკრძალვი ქებას,
და ვით მორწმუნე მტკიცედ ასრულებ
საქრისტიანოს მით სახარებას:

—

„რასაც რომ გასცემს შენი მარჯვენა,
არ ატყობინებ იმას მარცხენას!
ნებას არ აძლევ რომ წაალდინოს,
შეკავებულსა სიმდაბლით, ენას.

—

მაგრამ, უნდა ვსთქვათ, არ არის ძნელი
რომ შეასრულო შენც შენი ვალი:
რადგანაც შენთვის ბედს მიუცია
თანამოაზრედ ქართველი ქალი.

—

ზოგჯერ ის შენაც არ გატყობინებს
ისე გამოდის ქველის მოქმედად,
გაჭირვებულის მომხმარებელად,
ქვრივების დათ და ობლების დედათ.

—

დიდი ხანია ერთად ეწევით
სიამტკბილობას და შეუღლებას?
მართლა რო ესეც საკვირველია!—
დღეს ვინღა დასდევს ცოლ-ქმრის უღლებას?

—

ცუდი დრო დადგა, ცხოვრება წახდა!
ათასში ერთი თუ ინეტარებს!
მაგრამ გულ-წრფელად ისე, როგორც შენ
ის მეათასესაც ვერ გაიხარებს.

—

განგებამ მოგცათ სუყოლიფერი!
ნუ სწუხართ იმას, რო ხართ უშვილო;
ნუ თუ არ კმარა შვილად და ძირად
თქვენთვის სამშობლო და საქართველო.

—

იცოხლეთ დიდხანს! იმხიარულეთ!
ბედნიერი ხართ ორთავ ცოლ-ქმარი!..
ამას გულწრფელად ვამბობ მგოსანი
და ამასვე ჟღერს ეს ჩემი ქნარი*).

აკაკი.

1905 წ. 3 აპრილს.

მიწის უფლებისათვის ბრძოლა გურიაში *)

თავი III

სახელმწიფო დაწესებულებათა ბოიკოტი და ლ. ნ. ტოლსტოის მიმართვა გურულებისადმი. 1905 წელი. პოლიტიკური პარტიები. პარტიული ბრძოლის იერი და ჩვენებური დასელები. ხალხური სამსჯავრო და სასოფლო კომისიები.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მთავრობის დაწესებულებათა უარყოფამ მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა კერძო პირები, რომელნიც, მიუხედავად ძმობა-ერთობის ქადაგებისა, მაინც ძველებურ კერძო საკუთრების ნიადაგზე წარმომდგარ დავასაჩივრებს ასე ადვილად ვერ ეშვებოდნენ. წმინდა პოლიტიკური ხასიათის კრებები ამის გამო ბოლოს და ბოლოს ფერს იცვლის და პრაქტიკულ ჰირ-ვარამზე სალაყბოდ იქცევა. მანამ კი გლეხკაცი ათასგვარ საკითხით დატვირთული გულში იდებს ფარულ უკმაყოფილებას და ჯერ კიდევ სირცხვილად მიაჩნია ინდაურ-ქათამ-კვერცხების მოპარვის თაობაზე ლაპარაკი. პოლიტიკური ხასიათის კრებებზე ხშირი ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე გლეხს დაუსვამს საკითხი მეზობლურ დავა-უთანხმოების შესახებ, მაგრამ შორიდან მოსულ პრაპაგანდისტს ასეთი საკითხი პრინციპიულ მოსაზრებათა გამო მოუხსნია და მიუთითებია სასოფლო კომისიებზე. ამ მითითებით წათამამებული გლეხობა სიხარულით მიედინება სოფელში, იქ აარსებს სასოფლო კომისიებს, ირჩევენ მუდმივ ხელმძღვანელ პირებს და საქმე გაჩარხულად ითელება. კვირიდან კვირამდე იმართება სხდომები ასეთ კომისიებისა. მრავალ პრაქტიკულ საქმეებს უფრო იოლად არჩევენ, კანცელიარულ ხრიკებისა და გაჭიანურების პირველად ნაკლებად გესმისთ, თუმცა საქმის არსებითად გარჩევის წადილი აქაც ბოლო და ბოლოს მუშაობას ართულებს და აძნელებს. საზოგადო მნიშვნელობის საკითხთა გასარკვევად ნიშნავენ მთელი საზოგადოების კრებას, რომელზედაც სასოფლო კომისიების ხელმძღვანელობით მუშაობენ და გამოაქვთ სხვა და სხვა სავალდებულო ხასიათის დადგენილებანი. ასეთ საკითხთა გასარკვევად საჭიროდ აღიარებენ საზოგადო კომისიის არჩევასაც და ასე სდგება იგივე სასოფლო სამართველო იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ საზოგადოების ერთ წარმომადგენელს სამაზრო მარ-

---

*) ეს ლექსი გადმოგვცა პატივცემულმა მანდილოსანმა ანასტასია მიჩაბლისამ. თვით აკაკის ეს ლექსი წაუკითხავს სარაჯიშვილის სახლის კურთხევის დღეს.

იხ. „საქართველო“ № 184.

✦ **სასმელ წყლების დათვალიერება**. სამთო ინჟინერი ლ. კ. კონიუშევსკი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ნატახტარის, მუხრანის და ბულაჩაურის წყაროების დათვალიერება, უკვე დაბრუნდა თბილისში და მოხსენება წარუდგინა ქალაქის ბიუროს. თვის მოხსენებაში ინჟ. კონიუშევსკი მეტად ღირსშესანიშნავად იხსენიებს ამ წყაროებს.

✦ **დღეს**, 19 აგვისტოს, ხარფუხის საზოგადო კლუბში რუსულ ენაზე გაიმართება ოპერეტკა კაბარე. ოპერეტკაზე შესვლა უფასოა.

✦ **საქონლის სადგური** თბილისში ღია იქნება დღეიდან საღამოს 8 საათამდე, რომ ჩქარა გაანთავისუფლონ სადგური და გაზიდონ საქონელი ვაჭრებმა.

✦ **ხოლერა.** 19 მარიამობისთვეს ხოლერიანთა საავადმყოფოში ირიცხებოდა 52 კაცი.

✦ **ახალი წიგნი.** ჩვენმა რედაქციამ მიიღო გ. ვ. ზერცალოვის რუსული წიგნაკი: „თბილისის გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო კაპიტალი“. წიგნი შეეხება იმ საკითხს, თუ როგორ მოხმარდეს აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის საჭიროებას საგუბერნიო სამეურნეო კაპიტალი, რომელიც ამჟამად უდრის 2.518.053 მანათს. დაწვრილებით რეცენზია შემდეგისათვის.

ქუთაისი.

20 მარიამობისთვეს, დღის 12 საათზე, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში, შესდგება საკავშირო მომხმარ. კოოპერატივის „რეგულიატორი“-ს საგანგებო კრება.

— „რეგულიატორის“ გამგეობამ კიდევ შეიძინა 30,000 ფუთი ბესარაბიის სიმინდი და 15,000 ფუთი მარილი, რასაც იგი გაანაწილებს აღნიშნულ კრებაზე.

გორი.

„ქართლის“ კრება. 15 მარიამობისთვეს ქ. გორში მოხდა მეხილეთა ამხანაგობის „ქართლის“ წევრთა წლიური კრება. ანგარიშებისა და გამგეობის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამხანაგობას მოსვლია ზარალი, გამოწვეული უმთავრესად საერთო პირობით და ნაწილად შინაგანი მოუწყობლობითაც. ამის და მიუხედავად, კრებამ, მიიღო რა მხედველობაში „ქართლის“ გავლენა საზოგადოთ ბაზარზედ, მისი აუცილებლობა მწარმოებელთათვის, წევრების ნაწარმოების რიგიან ფასებში გასაღება და სხ., ერთხმად დაადგინა საქმის განგრძობა, მის გაფართოვება-გაუმჯობესება და ამისათვის თანხის გამოღება ათასთუმნამდის. უზრუნველყოფა ამ თანხისა წევრებმა იკისრეს თავიანთ ქონების პასუხისმგებლობით.

კრება კმახოფილი და მომავლის მოიმედე დაიშალა.

დ. ახალ-სენაკი.

ადგილობრივი მაზრის უფროსის თანაშემწედ ყოფილი და ქ. ფოთის „პოლიცმეისტერის“ ადგილზე გადაყვანილი ბ. რ. დვალი დაინიშნა ზუგდიდის მაზრის უფროსად. ის უკვე გაემგზავრა მოვალეობის ასასრულებლად.

— აქაურმა სცენისმოყვარეთა დასმა 15 მარიამობისთვეს ძველ-სენაკში დასდგა ი. გედევანიშვილის სამ-მოქმედებიანი დრამა „გამცემი“. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. პიესამ კარგათ ჩაიარა.

— მომხმარებელმა საზოგადოებამ „ნდობამ“ უკვე გახსნა მეორე ფურნე.

— 23 ამ თვეს აქ ჩამოდის და მართავს ქართულ კონცერტს ჩვენი თანამემამულე სანდრო კავსაძე.

— ამ თვეს, სად. ქვალონის ახლოს ზუგდიდიდან მომავალ დილიჟანს თავს დაესხნენ რამოდენიმე შეიარაღებული. წაიღეს ფულად დაახლოვებით 800 მანეთამდე. მძარცველები „ჯერ-ჯერობით ვერ აღმოაჩინეს.

ბრძოლის ახალი პერიოდი

(დასასრული)

IV

კავკასიის ასპარეზიც არ ჩამორჩა საზოგადო ფერხულს. გენ. ბრუსილოვის გამარჯვებამ თავისებური გავლენა იქონია ამ ფრონტზედაც.

როგორც ვიცით, რუსთა მთავარი ძალა დაპირისპირებული იყო ოსმალოთა ცენტრისაკენ, უმთავრესად მამახათუნ-ერზინჯან-ხარფუთის მიმართულებით. თვით ოსმალები კი სოლსავით შემოჭრილი იყვნენ ბაიბურთ-აშკალას მხრით და ეფრატის მეორე ნაპირიდან ემუქრებოდნენ რუსთა მხედრობის ცენტრის გარღვევას. მუშტი აზრუმზე იყო მოღერებული. ყოველ შემთხვევაში აქ ოსმალთა განზრახვა იყო თუ ცენტრს ვერ გაარღვევდნენ, იმდენად მაინც გამაგრებულიყვნენ, რომ საშუალება არ მიეცათ რუსთა მხედრობისთვის ტრაპიზონისკენ გზის გაკაფვისა, სადაც მეორე არმია, დესანტად გადმოსხმული ზღვის სანაპიროების დასაპყრობად კარგა შორს გაიჭრა. ოსმალთა ამ მხრივ დამარცხება და გზის გარღვევა დიდი სტრატეგიული გამარჯვება იქნებოდა რუსთათვის. იმის გარდა, რომ ორი მომქმედი არმია შეერთდებოდა, საკვებ გზებსაც შეიმოკლებდნენ და ის, რაც დღეს სამხედრო გზით თბილის-სარაყამიშ-აზრუმის გზით მიაქვთ, სრულიად ადვილად შეიძლებოდა ზღვით მიწოდება. აი ეს გარემოება აიძულებდა გენერალ იუდენიჩს მთელი თავისი ძალღონით ამ მხარისთვის მიექცია ყურადღება, თუნდაც მეორე მიმართულებით, შედარებით მეორე და მესამე ხარისხოვან ასპარეზით მის არმიის ფრთებს მარცხი მოსვლოდათ.

ამ გრანდიოზულ გეგმის პირველი ნაბიჯი გადაიდგა. გენერალ ბრუსილოვის გალაშქრებით აღფრთოვანებული მხედრობა ფრთებს აკვეცს წინ წამოსულ ოსმალთ, რომელთაც იმდენი მამაცობა და მხნეობა გამოიჩინეს, რომ მამახათუნიც კი დაიბრუნეს ერთი ხელობა და აშკალის მიმართულებით აზრუმს სულ რაღაც 35 ვერსზე მიუახლოვდნენ. გენერალ იუდენიჩმა ხელახლად აიღო მამახათუნი, აშკალა-ბაიბურთ გიუმიშხანისკენაც შეუტია და ბოლოს დაავგირგვინა ერზინჯანის მიმართულებით.

სამწუხაროდ, არ ვიცით რა მოხდა ტრაპიზონის მიმართულებით, დასძლიეს სავსებით ოსმალთა ძალები თუ ვერა, რომ ტრაპიზონისკენ მომქმედ არმიას შეერთებოდნენ. სამხედრო მიმომხილველნი ამ შემთხვევაშიც, როგორც ყოველთვის, უფრო აჩქარებულის ტემპით იქცევიან და ქალაქს-ქალაქზე იღებენ, ვიდრე ეს სინამდვილეშია. ყოველ შემთხვევაში მთავარ შტაბს ამის შესახებ გაფრთხილებული კილოთითაც არ გამოუცხადებია ასეთი დიდებული წარმატება. პირიქით, მთავარ შტაბმა მთელს ამ მხარეს გაუმჭვირვალი ფარდა ჩამოაფარა, რა ხდება არ ვიცით, საიდუმლოდ ინახავს ყოველისფერს. გაკვრით ის ვიცით, რომ ოსმალებმა სავსებით შეიგნეს დაკარგულ პოზიციების მნიშვნელობა, მიხვდნენ, რომ ორ არმიის შეერთება დიდს ხიფათს უმზადებდა მათ და აი ამიტომაც იყო, რომ ხალილ-ბეიმ, „დენის“ სამხედრო მიმომხილველი დიმიტრიევის სიტყვით, რომ ვსთქვათ, ამ ერთმა საუკეთესო, ნიჭიერ და ფრიად პოპულიარმა სარდალმა, მარჯვე მანევრებით კონტრიერიში მოიტანა, რომ ტრაპიზონ-აზრუმის შემაერთებელი გზატკეცილი კვლავ ხელთ ჩაიგდონ. იერიშები უმთავრესად გიუმიშხანედან დაიწყეს, მაგრამ მიაღწიეს თუ არა მიზანს, ეს არ ვიცით. ვიცით, ის, რომ ამ ოპერაციის ლიკვიდაცია სავსებით ვერ შესძლეს რუსებმა და იუდენიჩიც, უეჭველია, ახალ ზომებს იღებს მის საწინააღმდეგოდ, რასაც მეტად და მეტად საიდუმლოდ ინახავს, რომ მდგომარეობის შესახებ ერთ სიტყვასაც არ აღებინებს მთავარ შტაბს.

სამაგიეროდ ერზინჯანის აღების შემდეგ, რომ გენერალმა იუდენიჩმა პირი იბრუნა სამხრეთ-დასავლეთისკენ, ეს კარგად ვიცით. მთავარი შტაბი ამ მიმართულებით მარცხსაც და გამარჯვებასაც დაახლოვებით გვაცნობებს. რამ აიძულა გენერალი იუდენიჩი აქეთ წამოსასვლელად?

საქმე ის იყო, რომ იმ დროს, როდესაც ერზინჯანი ეცემოდა და რუსები მთავარ-ოპერაციას ასრულებდნენ, ოსმალებმა შემოუტიეს ხელოვნური მანევრებით და რუსთა მარცხენა ფრთას დაემუქრნენ მუშ-ბითლისის მიმართულებით. სპარსეთში გენერალ ბარათოვის ლაშქრობას, რომელსაც რუსი სამხედრო მიმომხილველნი დიდს მნიშვნელობას აწერდნენ, სტრატეგიული თვალსაზრისით მაინცა და მაინც სახარბიელოს არას წარმოადგენდა. მისი ლაშქრობა უფრო პოლიტიკური თვალსაზრისით იყო ხელსაყრელი. როგორც ვიცით, მაჰმადიანთა ქვეყნები ჯერ კიდევ პირვანდელ ყოფილ მდგომარეობაში არიან, მათ არ უწყიან წერა-კითხვა, არ იციან რა არის გაზეთი, ტელეგრამა. მათი გაზეთიც და შიკრიკიც თვალით ნახულია, გენერალ ბარათოვს ეს ესმოდა და აი დიდი ეფექტის მოსახდენად, ქარიშხალის ფრთით მიმოჰქროდა სპარსეთის ველებზე და ქალაქს-ქალაქზე იღებდა და მტკიცედ მიიმართებოდა. მაგრამ მცირერიცხოვან ჯარით ბაღდადის აღების განზრახვა უფრო ბედით გათამამებული სარდლის გატაცება იყო, ვიდრე სტრატეგიის კეთილ-გონიერი გეგმის მოთხოვნილება. ამიტომაც, მართალია დიმიტრიევი, როდესაც გენერალ ბარათოვის ლაშქრობა ჰაერში გასროლილ ბურთის ფრენს შეადარა. და მართლაც: როგორც თავისუფლად მინავარდებდა, ისე თავისუფლად დაბრუნდა უკან, იმავე გზით, მიატოვა ქერმანშაჰი, შემდეგ ჰამადანი. საბოლოოდ მისი ლტოლვის ასპარეზი თითქმის ხუთას ვერსსაც გადასცდა. გენერალ ბარათოვს საქმეს უპირებდნენ არა მარტო ოსმალთა ძლიერი რაზმები, რომელნიც ორი მხრით შემორტყმას ემუქრებოდნენ და დატყვევებას, როგორც ეს უკვე კუტ-ელ-ამარის გმირებს, ინგლისელთა ჯარებს, არამედ აუტანელი სიცხე, რომელიც თვით ტერმომეტრებსაც კი ჰხეთქავდა ცეცხლის ლულით. ოსმალთა სპარსეთში გამარჯვება თანასწორია ბარათოვის გამარჯვებისა, მას ამ შემთხვევაშიც ისევ პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს; ვთქვათ თუნდა იმ აჯანყებულ არაბთათვის, რომელთაც ერთი ხნობა რუსების წინ სვლისა გამო და ინგლისელთა აგიტაციის წყალობით აჯანყების დროშა ააფრიალეს. უეჭველია, ახლა ოსმალთა ემისარებს კარგი სამკალი მიეცათ აჯანყებულთა შორის რაღაც ბრჭყვიალა გამარჯვებით დროშა ძირს დააწევინონ და ახალგაზრდა ბუდუინებით შეივსონ თავიანთი დაზარალებული დივიზიები.

სპარსეთში გენერალ ბარათოვის დამარცხება-ლტოლვა სულ სხვა მხრით უნდა გაისინჯოს. ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რამდენად ძლიერნი არიან ოსმალები ამ მხრივ, რამდენად უიგრებენ მუშ-ბითლისით წამოსულ ოსმალებს ზურგს. სპარსეთის გამარჯვება თავისთავად დიდს საფრთხეს არ უმზადებს რუსთა მხედრობას. საინტერესოა უფრო მეორე მხარე, საშიში სოლი—დიარბექირ-ბითლის-მოსული. ხალილ ბეისთვის, როგორც სჩანს, გერმანელებს თამამი გეგმა შეუდგენიათ. ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ თამამი, რაც დავინახეთ 1914 წ. დეკემბრის რიცხვებში. როგორც ვიცით, რევანდუზას დაცლას მოჰყვა ბითლის-მუშის დაცლა. ერთი ხნობა ჩუმგემ-ხენისსაც მოადგნენ ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით მელიაზგერთი, აზერბეიჯანის მხრით. თუ დავაკვირდებით იმ გარემოებას, საით იხრებოდა ოსმალთა ლაშქრობის მთავარი ისარი ამ წინსვლის დროსაო, დავინახავთ, რომ მთელი ეს კონტრმანევრები მათ დასჭირდათ მხოლოდ იმიტომ, რომ სომხეთში კარგა შორს გაჭრილ რუსთა მხედრობისათვის ზურგიდან მუშტი მოეღერებინათ და თუ აზრუმსა და ერზინჯანს არ დაიბრუნებდნენ, ყოველ შემთხვევაში, ხელფეხი შეეკრათ წინსვლისათვის.

გეგმის განხორციელებაში ფრიად ხელს უწყობდნენ ქურთთა ცხენოსანი ბრბო. მთელი ვანის ტბის სამხრეთი და დასავლეთი რაიონი, მუშისა და ბულანის გარდა, დასახლებულია ქურთებით. გვეხსომება, თუ პირველ ხანებშიც ამ მხრივ როგორ ნელა ვითარდებოდა რუსთა წინსვლა აზრუმის დაცემის შემდეგ. მაშინ სწორედ ეს ქურთები აჭირვებდნენ საქმეს და დღესაც, როდესაც ოსმალთა ძალებმა იჩინეს თავი, ამათაც ხელ-ახლად წამოჰყვეს თავი, მწვერვალებიდან მოულოდნელად ხან სად ეცემიან და ხან სად. ერთი სიტყვით, შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს ხალილ-ბეი იმარჯვებდა და საოცნებო გეგმა უხორციელდებოდა. მაგრამ გენერალმა იუდენიჩმა დროზე იბრუნა პირი და უკან დახეულთ მაშველი ჯარები გაუგზავნა, რამაც მალე თავისებური ნაყოფი გამოიღო. დიარბექირისა და მუშის მიმართულებით სასტიკი ბრძოლა გამართა, რაიც ჯერაც არ გათავებულა, მაგრამ სიმპტომები კი მოსჩანს, რომ ეს მესამე გრანდიოზული გეგმა წინასწარსავით გრანდიოზულად უნდა ჩაეშალოთ.

ასეა თუ ისე, გენერალ ბრუსილოვის შეტევითი ბრძოლის ახალი პერიოდი დაიწყო. რით გათავდება ყველა ეს, არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ იგი სასურველი სისწრაფით, მართალია, არ განვითარდა, მაგრამ რომ ყოველ მხრით მოკავშირეთა მხარეზე იხრის ძლიერი მარსის სასწორი, ეს ეჭვს გარეშეა. დარჩენილი იყო მეორე ხარისხოვანი ასპარეზი—ბალკანეთი, მაგრამ აუცილებლობისა გამო აქაც ზარბაზნებმა იგრიალეს. ესაა მხოლოდ, რომ აქ ბულგარებმა გენერალ სარაილს წინუსწრეს, ინიციატივა ხელთ იგდეს და ვიდრე მოკავშირენი იერიშს მიიტანდნენ, მათ უკვე მოასწრეს საუკეთესო პოზაციების ხელში ჩაგდება და, რაც უფრო საყურადღებოა, ბერძენთა სიმაგრეების დაჭერა. საგულისხმიეროა, რომ ამ მხრივ ბერძნები მხოლოდ მცირეოდენი პროტესტით დაკმაყოფილდნენ და თითქოს თოფის გაუსროლებლივ ჩააბარეს თავიანთი ციხენი.

De—Ka.

წერილი ჭიათურიდან

(ქართველ მრეწველთა საზოგადოების დაარსება)

ჭიათურის შავი ქვის წარმოებაში ბევრი უცხო ელემენტი შემოიჭრა და დიდი ქონებაც შეიძინა არას ვიტყვით ევროპიელთა იმ ფირმების შესახებ, რომელთაც დიდძალი კაპიტალი დააბანდეს ჭიათურაში და პირველ ხარისხოვანი ქარხნები გამართეს. ევროპიელის ჩამოსვლას თავის კაპიტალით და ტეხნიკით ერთგვარი კულტურულ-ეკონომიური ღირებულება მაინც აქვს და რადგან ჩვენ მოკლებული ვართ საკუთარ ეროვნულ თანხებს დიდი წარმოებების შესაქმნელად და გაუმჯობესებული ტეხნიკის შემოსაღებად, ამიტომაც ევროპიელთა კაპიტალის დაბინავებას ჯერჯერობით წინააღმდეგობას ვერ გაუწევთ. სულ სხვაა, მაგალითად, ის ხალხი, რომელიც ცარიელ-ტარიელი ჩამოდის, უგროშ-უკაპეიკოდ და თვისი მოქნილობით და ხშირად გაიძვერაობითაც დიდ სიმდიდრეს იძენს. ამ ხალხის გამდიდრება ხდება ქართველების მოუწყობლობისა და უორგანიზაციობის ხარჯზე და უმთავრესად ჩვენი შეუგნებლობის ნიადაგზე. ეს ხალხი ნამდვილი მეტ-ხორცია, ნამდვილი წურბელა, რომელსაც არაფერი ეხარჯება და მართლაც სპეკულიაციით სცხოვრობს. ამათ წინააღმდეგ შეგნებული ბრძოლაა საჭირო. გაუგებარი და უვიცი ქართველობა, რომელიც ადვილად ებმება ამ ვაჟბატონებისაგან დაგებულ მახეში, უნდა დავიცვათ და გადავარჩინოთ ულმერთო ექსპლოატაციას. როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ამ ხალხს კაპიტალი თან არ ჩამოაქვს, რომ კონკურენციით დაგვამარცხონ. საჭიროა მხოლოდ ორგანიზაცია და საკუთარი ინტერესების შეგნება, რომ მაწანწალა სპეკულიანტებს გზა მოუჭრათ და ჭიათურის წვრილი მესაკუთრე ქართველები, თუ ხარ-ურმებით მომუშავე გლეხები ვიხსნათ ამათი უმოწყალო ყვლეფისაგან. ამ ბოლო დროს ჭიათურის მრეწველმა ქართველობამ ყურადღება მიაქცია ხსენებულ ვითარებას და დაიბადა აზრი ქართული საზოგადოების დაარსებისა, რომელიც საზოგადოებაც მიზნად დაისახეს ქართველ მწარმოელთა და მესაკუთრეთა ინტერესის დასაცავად. ასეთი საზოგადოების დაარსება, რომელიც აღმოცენებულია ჩვენი ეკონომიური და ეროვნული ვითარების სწორ შეგნებაზე თქმა არ უნდა მეტად საყურადღებო მოვლენაა და იგი მეტად ღრმა კვალსაც გაავლებს ჭიათურის ქართველ მრეწველთა ცხოვრებაში. ამ დღეებში განზრახულია წინასწარი თათბირი ამ საქმის მოსაგვარებლად. ვუსურვებთ ამ განზრახულ თათბირს ნაყოფიერ მუშაობას.

მოკეთე

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გარშემო

(ბატ. ჩ. კაპანაძის წერილის გამო. გაზ. „საქართველო“ № 175)

როგორც ზემოთ მოხსენებულ ბატ. ჩ. კაპანაძის წერილიდგან სჩანს, იგი დიდი მომხრე ყოფილა ჩვენი ეკლესიის წართმეული უფლებების კვლავ დაბრუნებისა და რასაც თავგამოდებული უნდა სცდილობდეს მამულის მოყვარული ყველა ქართველი, თუ იგი ჯერ თავზედ ხელაღებული არ არის და თავისი სამშობლოს ბედიღბლით ოდნავ მაინც არის დაინტერესებული. ამ მხრივ ამ ბოლო დროს ფრიად საინტერესო წერილები დაიბეჭდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და ქართველი ხალხის მესვეურნი თავგამოდებით მოითხოვენ თავისი მშობელი ერის გარემოებათა გამო უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი საეკლესიო საქმეების მოწესრიგებას, რაიცა ისე არ მოხდება, თუ ამ ეკლესიას არ აღდგინება უკანონოთ ჩამორთმეული ათასწლობით მინიჭებული უფლებანი. ამ საკითხში მხოლოდ გამონაკლისს შეადგენ ერთ-ერთი „თანამედროვე აზრი“-ს მესვეურნი, რომელნიც მოურიდებლად სწობლავენ ყველივე ეროვნულ, სამშობლოს სასიკეთო საკითხებს და მით უმეტეს საეკლესიოსას. მაგრამ ჩვენი მიზანი ამ ჟამად ამ პატარა წერილში ამაების განხილვა არ არის, მე მხოლოდ მინდა ხაზი გაუსვა ბატონ ჩ. კაპანაძის აზრს, სახელდობრ იმას, რომ თავის წერილში ერთ ადგილას ამბობს: „მის შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესიამ დამოუკიდებლობა დაჰკარგა, ქართველ სამღვდელოებას გამორკვეული არა აქვს, როგორც თავისი მდგომარეობა, აგრეთვე ის, თუ როგორ უნდა მოხერხდეს შეთანხმებული ცხოვრება მასა და მრევლს შორის, რადგან ჩვენი სამღვდელოება უპირველეს ყოვლისა რუსეთის მოხელეთ უნდა ჩაითვალოს, ვიდრე ერისა და მრევლის ინტერე-

---

თველობის ნაცვლად სადღაც ფარულ მუშათა კომიტეტთან აქვს დამოკიდებულება. უზენაესი პარტიული დაწესებულება განაგებს სოფლის ორგვარ ორგანიზაციას: წმინდა პარტიულს და გლეხურს. დემოკრატიულს. პირველად ამ ორგანიზაციათა ურთიერთ შორის დამოკიდებულება წესიერი და ზომიერი იყო, მაგრამ რა წამს თავი იჩინა დროებით მინელებულმა ქურდობამ, ასეთმა დამოკიდებულებამ ფერი იცვალა და საქმე ხშირად აშკარა უთანხმოებამდინაც მიდიოდა. ასეთ უთანხმოებაზე, რომელიც თან გურიის დასელთა მოღვაწეობაში კრიტიკულ ხანად ჩაითვლება, ქვემო უფრო ვრცლად გვექნება ბაასი, ეხლა კი მოვიყვანთ ზოგიერთ მაგალითებს იმისას,—თუ როგორ ებრძოდენ გურიის დემოკრატიული ორგანიზაციები და მთლად საზოგადოება ქურდობას და რაგვარ ზომებს ღებულობდა ამ სენის აღმოსაფხვრელად.

უმთავრობო ხალხურ მართველობის შემოღების ხანა გურულთა შორის მეტად სერიოზული ყურადღების ღირსი და მრავლის მხრით საინტერესოა. ამ დროს აშკარავდება საზოგადოებრივი ცხოვრების ბნელი და ნათელი მხარეები, ძველი ფერს იცვლის და ახალს ემხრობა, მხოლოდ ამ შეერთებასა და შეთანხმებას აკლია ზნეობრივი კავშირის სიცხოველე, რაც საერთოდ წარსულ დრომოჭმულ ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის სიძნელეს ჰმოწმობს. ქურდობა და ავაზაკობაც სწორედ ერთი ამგვარი მოვლენაა. მას სახალხო მოძრაობის დროს ფარულად ეყრდნობიან ძველი ძალები და მით საზოგადო საქმის სიდიადეში უფერულობა და არევ-დარევა შეაქვთ. გურულთა მოძრაობაშიაც 17 ოქტომბრის მანიფესტის პირველ თავბრუ დამხვევ შთაბეჭდილებათა შემდეგ ისევ თავი იჩინა ქურდობა-ავაზაკობამ. ეს პირდაპირ ჩირქს სცხებდა სახალხო საქმეს. ძველი ძალები ამ გარემოებას ხელზე იხვევენ და მოძრაობის შეჩვენება-გაწბილებას ქურდობის გაძლიერებაზე მითითებით ლამობენ. ერთის მხრით ხელმძღვანელი პარტია, მეორეს მხრით—საზოგადო დემოკრატიული ორგანიზაციებიც ცდილობენ საქმის საკეთილოდ გამობრუნებას, მაგრამ ქურდობა თანდათან ფეხს იკიდებს და ისეთ კუთხეებს ედება, სადაც მანამ ცხოვრება მხოლოდ მყუდროების განსახიერებას წარმოადგენდა. პირველი ცდილობს ბოროტების მოსპობას და ნამუსის შერჩენასაც, მეორე ებრძვის მხოლოდ ქურდობას და აქ ზნეობრივ ელემენტს ხელქვეით მნიშვნელობას აძლევს. ამ ორ სახალხო მართველობის ორგანიზაციას შორის იბადება უთანხმოება, რომელიც მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო ქურდობა-ავაზაკობა საყოველთაო ხასიათს ღებულობს. ამ დროის ცხოვრება სავსეა ისეთი სცენებით, რომელნიც მეტად დამახასიათებელია დასელთა მოღვაწეობისა გურიაში. ერთ ასეთ სცენას ადგილი ჰქონდა შვიდი საზოგადოების წარმომადგენელთა თვალწინ, რომელიც, ვგონებ, კლასიკური ნიმუშიც იქნეს ხალხური მართვა-გამგეობის განსჯა-განკითხვისა.

ჩ-ის საზოგადოების სასოფლო სამმართველოს მახლობლად კოხტად წამოჭიმულ სახლების ქვემოდ ცოტა შევაკებაა. აქ, სოფლის მოწინავე პირების გადაწყვეტილებით, უნდა მოხდეს შვიდი საზოგადოების წარმომადგენელთა შეერთებული კრება. რამ გამოიწვია 10—14 ვერსიდან ხალხისათვის თავის მოყრა, ან რად ცალცალკე ვერ მორიგებულან საზოგადოებანი საჭირ-ვარამო საკითხის გადაწყვეტაში? ასამართლებენ 15 შეპყრობილ და დანაშაულობაში გამოტეხილ ყაჩაღებს. მათ ერთ ღამეს გაძარცვეს ჩ-ს საზოგადოების მთელი სავაჭროები, წაიღეს რაც კი იხელთეს, დაუდვეს ურემზე და ისე გაემართნენ სამშვიდობოსაკენ. ასეთი თავდასხმა იშვიათი იყო მთელს გურიაში. ხალხის აღშფოთებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ღელავდა და ტოკავდა გული თითეულ გლეხ-კაცისა, რომელიც ვერ დარწმუნებულიყო, რომ ხვალ მის ნაამაგარსაც არ გაიტაცებდნენ. ამ გარემოებამ ძალუმად გააღიზიანა საერთო შურისძიების გრძნობა. ადგილობრივი საზოგადოება იწვევს მეზობელთ, რათა საერთო ძალით შეებრძოლონ საშიშარ სენს. დღის 12 საათზე სოფლის მოედანი ხალხით გაიჭედა. მოვიდა პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. საერთო სიჩუმე ჩამოვარდა. ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე ლაპარაკობს ის, ხალხიც უსმენს, თუმცა უპირველესი საგანი შეკრებისა სულ სხვა იყო. გათავდა... მოლაპარაკე ტრიბუნიდან ჩამოდის. გაისმის ხმები პროპაგანდისტის თავმჯდომარედ არჩევისა. ხალხი დაჟინებით მოითხოვს. ხმები არა სცხრება. მითქმა-მოთქმის შემდეგ პროპაგანდისტი უბრუნდება ტრიბუნას და აცხადებს: „მე, როგორც სოციალისტი, მონაწილეობას ვერ მივიღებ დემოკრატიულ საქმეების გარჩევაშიო“... სხვანაირად ეს ნიშნავდა, რომ საზოგადოდ სოციალისტები სისხლის სამართლის საქმეების გარჩევაში მონაწილეობას არ ღებულობენო. ხალხი სახტად რჩება. მაშ ვინ ღა უნდა უხელმძღვანელოს მათ, ვინაიდან შვიდი საზოგადოების შეკრებას სწორედ ზემოქმედებისა და ჭკუიან რჩევა-დარიგების იმედი ედევა სარჩულად? თავმჯდომარედ ირჩევენ ერთ-ერთ მოინტელიგენტო სოფლელს. ამ კაცის თავმჯდომარეობით დიდი ხნის თათბირის შემდეგ იქვე დაყარაულებულ 15 ყაჩაღს, რამოდენიმეს გამოკლებით, კრებამ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა. ჰაერი სისხლის სუნით გაიჟღენთა. ხალხურმა განსჯამ დაჰკარგა ჰუმანიურ გრძნობა შებრალებისა. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. პარტიის კაცებმა, გარდა პროპაგანდისტისა, სასიკვდილო განაჩენის გამოტანაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ძლიერმა ხმამ სახალხო აღშფოთებისამ შთანთქა უზენაესი მოსაზრებანი და კაცთა მხეცად მქცევ ინსტიქტებს სოციალისტები დაემორჩილნენ! როგორი იყო ასეთი ქცევა, ან შესაფერისად მოიქცნენ საერთოდ საზოგადოებათა წარმომადგენელნი, ამის გამოკვლევას ვანდობთ ისევ მკითხველებს, ვინაიდან ადამიანთათვის სიცოცხლის წართმევა, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს ის, ერთიან დასაგმობი და გასაკიცხავია. მაგრამ არა ეს გვაინტერესებს ამ ჟამად ჩვენ, არამედ ის, თუ როგორ ახსნიან სახალხო შურისძიებისა და თვითგანსჯის ამ უსასტიკეს ზომას ყველა ის ვაჟბატონი, რომლებსაც გურულებზე ერთი პწკარიც ისე ვერ დაუწერიათ, რომ ქურდებისა და ყაჩაღის სახელით არ მონათლონ ისინი. ეხლაც, როცა გურულებმა აშკარად ცხადჰყვეს კულტურული სიმწიფე, სომხური გაზეთი „ჰორიზონი“ ვინმე ახლოს პირით გამომდგარა და გურულებს „მოყაჩაღის“ სახელით უმასპინძლდება. ფაქტი მეტად საინტერესოა, რაც თავის დროზე ერთხმად და ხაზგასმით აღნიშნა ქართულმა პრესამ. ჩვენ არა ვგონებთ კავკასიაში კიდევ მოიპოვებოდეს ისეთი კუთხე, სადაც ისე აფასებდენ და პატივს სცემდენ კერძო საკუთრებას, როგორც გურიაში. დამნაშავის (ქურდის) ფეხებით დაკიდვა, გამურვა და ისე საჯაროდ ჩამოტარება, სიკვდილი და შეუბრალებელი დევნა, ყველა ეს ისეთი იძულებითი და სამწუხარო ზომებია, რომელთა წარმოდგენაზედაც კი ფაქიზი გრძნობის ადამიანს თმები ყალხზე დაუდგება და მრისხანედ წამოიძახებს: „შენ სცდები დემოსო, ჯალათის როლი რომ გიკისრია“. ჩვენ არ ვიცით ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის კიდევ რა ზომებს მოითხოვს კულტურული შეგნება სომხური გაზეთისა, ხოლო ის კი ცხადია, რომ მას ოდნავი წარმოდგენაც კი არ აქვს იმ კუთხეზე, რომლის „მიწის უფლებისათვის ბრძოლამ“ დიდი ჰუმანისტი და გენიოსი ლ. ტოლსტოი აღაფრთოვანა, პარიზის სოციალისტები სალამს უძღვნიდენ მას, ხოლო ვინმე სომეხი იმავე პარიზში, ალბად ეროვნულ განდიდების მიზნით, ამტკიცებდა, რომ გურულები სომხეთა ჩამომავალნი არიანო... დღეს კი გამომდგარან არლოები და მთელ ხალხს „მოყაჩაღის“ სახელით ნათლავენ!.. „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“,—ვეტყვით ჩვენ უბრგვილო პასკვილის სომხის ავსონს.

(შემდეგი იქნება)

დ. არონიშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სების დარაჯადაო". და მართლაც, შეხვდებით, როგორც სასულიერო, ისე საერო უწყების პირებს, რომელთაც ვერ წარმოუდგენიათ, თუ როგორი ურთიერთობა უნდა დამყარდეს სამრევლოთა და სამღვდელოებას შორის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურათ მართვა-გამგეობის დროს?... ამის წარმოდგენა ყველაზედ მეტად გონებას უბნევს და ზომაზედ მეტად აღელვებს ქართველ მაღალ თანამდებობის სასულიერო პირებს, რომელთაც გასტკბობიათ მზამზარეულათ ხაზინიდგან უდარდელათ მიღებული ათასეულობით ჯამაგირების გემო და აგრე რიგათ აღარც კი დაგიდევს სოფლის თავისსავე თანამოძმეების უნუგეშო მდგომარეობას, რომელთა გარემოებაც დიდათ დამაღონებელია, ვინაითგან მათსა და მათ სულიერ სამწყოს შორის უფსკრული გათხრილი და ვაჭრული ნიხრის წესდებით და სხვა ნაირ-ნაირ გადასახადების წყალობით ეს უფსკრული თანდათან უფრო ღრმავდება და მღვდელთა და ერთა დამოკიდებულება თანდათან უფრო მწვავდება?.. ამის ერთადერთ წამლათ უნდა ჩაითვალოს საქართველოს საეკლესიო უკანონოთ ჩამორთმეული მამულების ისევ უკან დაბრუნება, რომლის რიგიანი მოვლა-პატრონობა უნდა იკისროს ძველებურათ მთელად ქართველმა ხალხმა, რომელიც შეადგენს საქართველოს ეკლესიას და ამ მამულების შემოსავლიდგან ყოველივე საეკლესიო ხარჯების გასტუმრება, რის შემდეგაც მრევლი სრულიად თავისუფალი უნდა იყოს ყოველივე საეკლესიო და სამღვდელოების ხარჯებისაგან, ვინაიდგან წინდაწინვე დაიმედებული ვართ, რომ ამ შემოსავლის რაოდენობის ერთი მესამედი თუ დაჭირდება ზემოთ მოხსენებულ საეკლესიო ხარჯებს და შემოსავლის დანარჩენი ნაწილი კი უნდა მოხმარდეს ქართველთა ხალხის როგორც კულტურულ განმანათლებელ, ისე საქველმოქმედო, თუ სხვა რამ ერის სასიკეთო საქმეებს.

იმის შიში, ვაი თუ ქართველმა ხალხმა სამღვდელოებასთან ერთად ვერ შესძლოს შესაფერისად ამ მამულის მოვლა-პატრონობაო, უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, ვინაიდგან ის ერი, რომელმაც შექმნა დიდებული ტაძარ-მონასტრები, რომლითაც მოფენილია საქართველოს არე-მარე და თავისუფლების დროს რამოდენიმე ათეულ მღვდელთ-მთავრებს ინახავდა თავიანთ კრებულებით და რომელსაც ქვრივ-ობოლთა და გაჭირვებულთა შესაწევნელად კიდევ ბევრი რჩებოდა ამავე საეკლესიო ქონების შემოსავლიდგან, კვლავ შესძლებს თავის სულიერ ქონებრივ საჭიროებას გაუძლვეს. ამის დამტკიცებელი საბუთი ისიც გახლავთ, რომ ქართველები ბეჯითად ეწაფებიან საკულტურო, თუ საეკონომიო საქმეების გაძღოლას, რომლითაც დიდ სასიკეთო მომავალს უქადიან თავის სამშობლოს.

აი სწორედ მაშინ ჩამოვარდება სულიერი კეთილ-განწყობილება მღვდელთა და ერს შორის და საქართველოს საეკლესიო საქმეები სასურველ კალაპოტში ჩადგება. ამის მეტი წამალი საქართველოს ათასნაირ იარებს სხვა არა არგებს რა, ჩვენის ფიქრით.

ვ. მა—ლი.

სწორი და უტყუარი გზა

საქ. საეკ. სასულიერო მაუწყებლის 1—15 ივლისის ნომერში მოთავსებულია უკვე ცნობა და მიწერ-მოწერა ქართულ საეკლესიო ბეჭედზე ქართულ წარწერის სლავიანური წარწერით შეცვლის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, ფესვები ამ საქმის ძველია და ღრმად მარხია 22 თებერვლის 1836 წლის სინოდის დადგენილებაში: „ერთნაირი სლავიანური წარწერა უნდა ჰქონდეს ყველა საეკლესიო ბეჭედს"... რადგანაც ამ დადგენილების სისრულეში მოუყვანლობა გულს უღრნიდა დამდგენელთა მემკვიდრეთ, ამიტომ ეს დადგენილება ახლა სინოდმა ამოაფარა ხელოვნურად აღძრულ ფოჩტის უფროსის მოთხოვნილებას და გადასცა საბოლოოდ გადასაწყვეტად სასინოდო კანტორას, რომელმაც, თუმცა უმეტესად ქართველებისაგან შესდგება, ფხიანობა ვერ გამოიჩინა და საქმე უკუღმართი გზით წაიყვანა და სასიკვდილო ლახვრით უგმირა: 17 მარტს ამ 1916 წელს მისწერა — № 424 იმერეთის, გურია სამეგრელოს და სუხუმის მღვდელთ-მთავრებს და ბლაღოჩინებს შესცვალონ ქართულ საეკლესიო ბეჭედზე ქართული წარწერა სლავიანური წარწერით. თუ ეს ვერ მოახერხონ, ახალი ბეჭდები სლავიანური წარწერით შეიძინონ და ძველები წარუდგინონ კანტორას 1917 წლამდე. ამასთანვე კანტორა აფრთხილებს მათ: „წინააღმდეგ შემთხვევაში 1917 წლიდან ფოშტის დაწესებულებანი სახელმწიფო პაკეტებს ქართულ წარწერიან ბეჭედით არ მიიღებენო"...

როდესაც ეცნობით სავსებით ამ მიწერ-მოწერას, ოცდებით. ერთი მხრით გაოცებთ ქართველთა ეკლესიის დაუძინებელ მტრის ხელოვნური ოინბაზობა: მოისურვა მან მოსპობა ქართული ეკლესიის ნაციონალურ ნასახის და მიაღწია კიდეც.

მეორე მხრით მოუსაზრებლობა—დაუდევრობა და სიჩუმე ამ საკითხის სასინოდო კანტორაში საბოლოოდ გადაწყვეტაში მონაწილე ქართველ პირთა, რომ მათ ვერ გამოიჩინეს უნარი; საწინააღმდეგოდ—ხმაც კი ვერ ამოიღეს დროზე და სასიკვდილო ლახვარი თვით იგმირეს- ჩვენი მეზობლებისათვის მაინც მიებაძნათ. ნუ თუ ქართული ეკლესია ამ ბატონებისაგან ქომაგობას და მფარველობას არ უნდა მოელოდეს?!

მაშ რისთვის სხედან იქ?

დარწმუნებული ვართ, დასავლეთში ეს არ მოხდებოდა, იქ გამჭრიახობაა.

ახლა ვიკითხოთ: მართლა, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ფოჩტის მოხელისათვის სლავიანური წარწერით ბეჭედი? სრულიადაც არა და აი რატომ: ფოჩტით გასაგზავნ სახელმწიფო პაკეთებს აწერია რუსულად სრული ადრესი მისი, ვისაც ეგზავნება, სრული ადრესი გამგზავნის, აღნიშნულია უწყება, ასვია № და ბეჭედი საეკლესიო ღერბით. ეს ყველა იმდენად ნათელია და გასაგები, რომ უბრალო ტეტია რუსიც კი გაიგებს, არა თუ ნასწავლი კაცი—ჩინოვნიკი.

რო მიბრძანდეთ კანცელარიებში და დაწესებულებებში და დაათვალიეროთ ბეჭედ დაკრული პაკეთები, ნახევარზე ვერ გაარჩევთ წარწერებს, ისე მკრთალად უტყაპუნებენ ბეჭედს. მაშ რაშია ქართული წარწერა დამნაშავე? იმაში, რომ 22 თებერვლის 1836 წლის დადგენილება სინოდს სურს მოიყვანოს სისრულეში და ჩინოვნიკის მოთხოვნილება საბაბად წამოაყენა.

აი სწორედ აქ მართლდება სულმნათი კრილოვის არაკი: „მგელი და კრავი".

საკვირველი ის არის, რომ მთავრობას, მის კანონებს და მოხელეებს ქართველების წინააღმდეგ უყვართ გამოლაშქრება, როგორც ახლა. განა დიდებულ რუსეთის საბძანებელში გარდა ქართული ეკლესიისა სხვას არ აქვს თვისი ნაციონალური წარწერით ბეჭედი? რადა მარტო ჩვენზე მოიცალეს?!

მღვდლები ყოველ საჭირო ცნობებს მთავრობის მოთხოვნილებისამებრ უდგენენ ბლაღოჩინებს და ბლაღოჩინები გზავნიან ფოჩტით, სადაც ჯერ არს. მთელ საქართველოში ბლაღოჩინები ორმოცამდე თუა, მეტი არაა; ქართული ეკლესია ასობით გახლავთ, როგორც მოგეხსენებათ.

თუ, მართლა, სახელმწიფო პაკეთების გასაგზავნად სლოვიანურ წარწერიანი ბეჭდებია საჭირო „აუცილებლად", ის არ ემჯობინება ბლაღოჩინების რიცხვის მიხედვით სლავიანურ წარწერით შემოიღონ ბეჭედი და ათას-ხუთასი წლის განმავლობაში არსებულ „ასობით" ქართულ ნაციონალურ ბეჭედს თავი დაანებონ?

მაგრამ არც ბლაღოჩინებისათვის არის აუცილებლად საჭირო ახალი ბეჭდების შემოღება. მთელ საქართველოს ეყოფა ერთი ბეჭედი სლავიანური წარწერით და ეს ბეჭედი ექნება სასინოდო კანტორას, რომელიც ამ ბეჭდით დაამზადებს „ობლატკებს" და დაუგზავნის ბლაღოჩინებს სხვა საეკლესიო ბლანკებთან ერთად. ერთი მანეთის „ობლატკები" რამდენსამე წელიწადს ეყოფა საბლაღოჩინოს და მაშინ თვითეულ ეკლესიას შაურიც არ დაეხარჯება ამ საქმეზე, ეს ადვილი მოსახერხებელია, მაგრამ სინოდმა და კანტორამ თავი არ შეიწუხეს, მეტი რომ არა ვსთქვათ, და მოითხოვეს ქართულ საეკლესიო ბეჭდის გაუქმება.

წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ პაკეთებს არ მივიღებთო, ემუქრებიან ქართველ სამღვდელოებას ქართველი სამღვდელოება მოვალეა თვისი ნაციონალური სიძველის ნაშთის დასახსნელად გამონახოს გზა და ესეთი გზა მტკიცე და უტყუარი გახლავთ შემდეგი:

თვითონ უნდა იკისრონ სახელმწიფო პაკეთებისა გასაგზავნი ხარჯი და ქართულ წარწერიან საეკლესიო ბეჭდის სლოვიანურ წარწერანით შეცვლაზე ცივი უარი განაცხადონ.

ეს გზა დამცირებასაც ააცდენს სამღვდელოებას და სამძიმოც არ არის, რადგანაც არც იმდენი სახელმწიფო პაკეთები იგზავნება ფოჩტით, რომ მისი გასაგზავნი ფასი დიდ რამეს შეადგენდეს ქართველ სამღვდელოებისათვის, წლიური ფასი ქართველ სამღვდელოების მიერ ფოჩტით გასაგზავნ სახელმწიფო პაკეთებისა რო გაჰყოთ ქართულ ეკლესიების საზოგადო რიცხვზე, თვითო ეკლესიას აბაზიც არ შეხვდება წლიურად. ეს დაწვრილებით გამოანგარიშებული გვაქვს. ნუ თუ ქართველი სამღვდელოება მოსპობის გზას დაადგება და თვისის არსებობის ნატამალს გროშად გაჰყიდის და ანდერძს აიგებს?!

უსათუოდ ქართ. სამღვდელოებამ თვითონ უნდა იკისროს ეს მცირე ხარჯი თვისი ეროვნული სახის შესარჩენად და მაშინ ცხადზე უცხადესი გახდება: მთავრობას ფოჩტის ჩინოვნიკის მოთხოვნილების დაკმაყოფილება აქვს სახეში, თუ 22 თებერვლის 1836 წლის სინოდის დადგენილების განხორციელება. ქართველ სამღვდელოებას მოთქმა და წუწუნი არას არგებს; ისა სჯობია, სახელი არ გაიტეხოს, და მოუაროს, რაც აქვს.

გერასიმე იმნაიშვილი.

ბაკურიანის ავ-კარგი

სოფელი ვნახე უძაღლო
და გავიარე უჯოხო.

წრეულ ბაკურიანში შარშანდელზედ უფრო ბევრი ხალხი ჩამოვიდა. ბინის შოვნა თითქმის სულ აღარ არის. საგარაკო ცხოვრებამ მოწყენილად ჩაიარა. არავითარი გასართობი აქ არ იყო. გარდა იმისა, რომ ორჯელ დაიდგა პიესა, ისიც ორივეჯერ რუსულ ენაზე, თუმცა ბაკურიანში უმრავლესობა ქართველობაა. ჰკითხულობდა აგრეთვე ლექციებს ბ-ნი მარკარიანი „თვით აღზრდის პსიხოლოგიაზე". მაგრამ ლექციას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, რადგან ავტორი ვერ იყო კარგათ მომზადებული. ბაკურიანში არის კარგი პარკი, რომლის ავ-კარგზე არავინ ზრუნავს. პარკში არის ღარიბი სამკითხველო, სადაც საკითხავი წიგნები არ არის, გაზეთებიც დაგვიანებით მოდის და ზოგჯერ სულ ვერ ვღებულობთ. ქართულ გაზეთებში მარტო „სახალხო ფურ." მოდის. პარკში არის აგრეთვე „ლაუნტენისი", „კროკეტი" და „კეგელბანი", რომლებიც ისეთ გაუზრდელ პირებს აუღიათ იჯარით, რომლებიც არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და არ გადის დღე, რომ ამ ვაჟბატონების და მოაგარაკეთა შორის უსიამოვნება არ მოხდეს. პოჩტის გაღებამ დიდი სიხარული გამოიწვია მოაგარაკეთა შორის, მაგრამ ფოჩტამ ყველა გააკვირვა. დამტარებლები წერილებს ზოგჯერ კარგავენ, ზოგჯერ პატრონსაც არ უტანენ და მოაგარაკენი იძულებული არიან ფოჩტაში იკითხონ თავისი ბარათი, რის გამო გამოდის უსიამოვნება.

რძე ბორჯომში ბოთლი ღირდა 15 კაპ., მაგრამ წითელ და მწვანე ბილეთიანების გაწვევამ გამოიწვია 5 კაპ. მიმატება და ეხლა ისევე ბოთლი ღირს 20 კ., პური ღირდა 8 კაპ. ერთ ხანს, მერე 9 კ. გახადეს. აქ ორი-სამი ფურნეა, სადაც პური ცუდი და გამოუმცხვარია (მეფურნეები ფქვილს აბრალებენ), იმის მაგივრად, რომ მოაგარაკემ დაისვენოს, კარგად დაიცვას დიეტა, ორი-სამი საათი უნდა რიგში იდგეს. ამის გამო შეიქნა ლაპარაკი, ამოვარჩიეთ კომისია.

ბ. ლეფეროვის თავმჯდომარეობით გაიმართა კრება, რათა პურის საკითხი მოეწესრიგებინათ. კარგი ფქვილი უნდა გამოეწერათ და თავის დროზედ მიეწოდებინებინათ პური მოაგარაკეებისათვის. მაგრამ ვაი ასეთ ამორჩევას. თავმჯდომარედან დაწყებული უკანასკნელამდე ყველა თავის-თავზე ფიქრობდა.

შემაძრწუნებელი, საზიზღარი სურათი დაგვიდგა თვალ-წინ ნიხრის დადებაზედ. გაიმართა კრება, რომელსაც უმრავლესობა არ დასწრებია. პოლიციის და ციმბირის დაშინებით დაიყოლიეს მედუქნეები და ხელი მოაწერინეს ნიხრზე. მეორე დღეს ორი დუქანი დაიხურა და ბაკურიანში კარაქის და კვერცხის ტარება შესწყდა. ვინც კი ჩამოიტანდა, აჩერებდნენ კომისიონერები, ართმევდნენ ვითომდა ხალხისთვის დასარიგებლად.

მეთვალყურე.

დაბა-სოფლები

ს. მეჯვრისხევი. რამდენი იწერება ჩვენი გაზეთის ფურცლებზედ და რამდენი ენერგია იხარჯება იმაზედ, რომ ჩვენი მამულები უცხოელების ხელში არ გადავიდეს, მაგრამ სულ ამაოდ!

ს. მეჯვრისხევში სდგას მშვენიერი სასახლე თავ. ესტატე ერისთავისა, ამ სასახლეს წინ უძევს დაახლოვებით 9 დღის ზვარი და მდებარეობს შუა გულ სოფელში. შიგ არის მოთავსებული ქსენონი. აი, ამ სასახლეს თავის ზვრით და, მგონია, სხვა მამულებითაც ჰყიდის ელენე ივანეს ასული ანდრონიკოვისა (შვილის-შვილია ესტატე ერისთავისა, უსინათლო, ქართულის არ მცოდნე, მოსამსახურეებათ და მდგმურებათ რუსები და სომხები ჰყავნან) ვიღაც სომეხ შახნაზაროვზე. ჩვენ ვყვირით და ჩვენი მეზობელი—სომხები ჩუმად კი თავის აგენტების წყალობით, რომლებიც მოდებულნი არიან მთლად ქართლ-კახეთში, დიდის საიდუმლოებით და სიფრთხილით აკეთებენ საქმეებს. რა კარგი იქნებოდა, თუ ერთი პირი ვერ შესძლებდა ყიდვას, რომ ეს სასახლე თავის ზვრით შეერთებულის ძალით სოფელს შეეძინა იმ კულტურული დაწესებულებისათვის, რომლებიც დღეს არსებობენ მეჯვრისხევში, მაგ. შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, მომხმარებელი ამხანაგობა, ქსენონი, სამკითხველო და სხვ.

მეჯვრისხევს დიდი ძალებია, თუ ერთსულოვნობას გამოიჩენენ მცხოვრებლები. ამ სასახლეში მოთავსებული ქსენონი გახსნილია ქნ. ეკატერინე ზაქარიას ასული ერისთავის თაოსნობით და დღესაც ის ჰპატრონობს მას. ამ შენობის სხვის ხელში გადასვლით ხსენებულ ქსენონს მოელის ის დღე, რაც სოფ. ქარელში დაემართა საფეიქრო სკოლას ქნ. ბაგრატიონის წყალობით, რომელმაც თავის შენობა სომხის გადმოხვეწილ ბავშვთა თავშესაფარად გააქირავა და საფეიქრო სკოლა კი თავის მასწავლებელ-მოწაფეებით უნუგეშო მდგომარეობაში ჩააყენა. იქნება ექიმი შახნაზაროვი ამ სასახლეს იმ მიზნით ყიდულობდეს, რომ ჩვენ ამ მოკლე ხანში გავხდეთ მოწმენი შუა-გულ მეჯვრისხევში სომხის ბავშვების ჟრიალ-ხრიალისა. ეს ერთად-ერთი დიდი სოფელია ქართლში, სადაც სომხობა თითქმის არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ათიოდე კომლს ქართველ-გრიგორიანებს და ორს ფართლით მოვაჭრე მოსულ სომხებს. მაგრამ ამ მამულის სომხის ხელში გადასვლით მეჯვრისხევს თვალი ეთხრება.

მეჯვრისხევს დიდი მომავალი მოელის და ნიადაგი-კი ეცლება. კმარა ძილი, კმარა უთანხმოება, თორემ ბოლოდროს ენაზედ კბენა გვიანღა იქნება.

ობოლი.

—

დ. ჩოხატაური. ისეთი დღე არ გაივლის, რომ რაიმე სროლა, თავდასხმა და კაცის კვლა არ მოხდეს. ორი შემაძრწუნებელი შემთხვევა ერთის დღე და ღამის განმავლობაში მოხდა. სახელდობრ, შაბათს, მარიამობისთვის 13-ს ს. ამაღლებაში ჩხუბი მოუვიდათ უმაღლეს კურს დამთავრებულს და არტილერიის პორუჩიკს, მრავლად დაჯილდოვებულს ონიფანტე დოლიძეს და მის სახლი კაცს, სოფლის მცხოვრებს მიხეილ დოლიძეს. საქმე ასე ყოფილიყო: ამ ოფიცრის მამას მიხეილის მამისათვის ფული ესესხებინა; ახლა ერთის შვილმა მეორისას ვალის გადახდა სთხოვა. როგორც თვითონ აღნიშნული ოფიცერი ამბობს, ლაპარაკში, რომ შევყევით „ლაწირაკი" მიწოდა, ეს ველარ მოვითმინე და ვესროლეო. მიხეილმაც თურმე რევოლვერით უპასუხა. დაუწყეს ერთი მეორეს სროლა. ოფიცერი უვნებლად გადარჩა და სასიკვდილოდ დასჭრა მიხეილ დოლიძე, ხოლო მიხეილის ტყვიით მოკვდა ოფიცრის ცხენი და დაიჭრა მათივე სახლი-კაცი დოლიძე.

ამ ამბავს თან მოჰყვა მეორეც. აქეთ დიდი ხანია დათარეშობდა ყაჩაღი კოზმან რამიშვილი, რომელიც ყველას ტანჯვას აყენებდა და ხალხსაც ძალიან ეჯავრებოდა. ამ ბოლო დროს მან წაიყვანა ერთი ჯარის კაცის ნიკოლოზ რამიშვილის მეუღლე. როდესაც ეს ამბავი ჯარის კაცმა შეიტყო, მაშინათვე წამოვიდა პოზიციებიდან და ეს ერთი ხანია ამ ყაჩაღს ეძებდა, რათა სამაგიერო გადაეხადა. ამას წინად შეხვდა კიდეც, მაგრამ ოდნავ ხელში დასჭრა, ასე, რომ ყაჩაღი გაიქცა. ახლა კი, ამ თვის 14-ს განთიადისას მოასწრო ს. სურებში და რევოლვერის ტყვიით ის ცნობილი ყაჩაღი სასიკვდილოდ დასჭრა. დაჭრილი ყაჩაღი ჩოხატაურის საავადმყოფოში ჩამოიყვანეს. ტყვია სახეში და თავში აქვს მორტყმული და გადარჩენა შეუძლებლად მიაჩნიათ.

მიშო.

თეატრი

სოფ. მეჯვრისხევი.

ორშაბათს, 15 მარიამობისთვეს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქმნა—„ორი მშიერი" სამკითხველოს სასარგებლოთ. წარმოდგენის წინ ბ-მა ტ. ხმიადაშვილმა მოკლედ, მაგრამ სხარტად გააცნო დამსწრენი ჩვენი სასიქადულო აკაკი და ის დრო, რომელზედაც ილიამ სთქვა „არსაიდან ხმა, არსით ძახილი".

მთავარი როლები შეასრულეს მიხ. დედაბრიშვილმა, დ. გამრეკელმა, მიხ. წიკლაურმა. კარგი იყო მიხ. დედაბრიშვილი; არა უშავდა-რა მიხ. წიკლაურს. დიდი მადლობის ღირსი არის ქ-ნი ანეტა ახალშენიშვილისა, რომელმაც არ დაინანა არც ძალი და არც ღონე და რამდენიმე დღის განმავლობაში მოასწრო მომზადება. მადლობის ღირსია აგრეთვე ქ-ნი ეკ. კასრაძე, რომელიც დამსწრეთ აჩვენებდა ბუნდოვან ისტორიულ სურათებს და თანაც უხსნიდა. თეატრი გაჭედილი იყო ხალხით. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა ღამის 11 საათზე ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

დავ. გამრეკელი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27	დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	7 „ 58 „	დილ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3, .	7 „ 58 „	საღ.

იყიდება
შემოსავლიანი სახლი
ოლქის სასამართლოს გვერდით 62,000 მანეთად. იძლევა წლიურს საერთო შემოსავალს 6892 მან. სახლი გაშენებულია კუთხე ადგილას. დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ: მიხეილის პროსპექტი, № 97, ბინა 25, გაჟონიას. ტელეფონი № 9-25. შეიძლება ნახვა დილ. 8—9 და საღ. 4—6 საათამდე.
(3—219—2)

თუ გსურთ,
რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმართეთ
ცნობის კონტორას
ი. თ. გვათუასას
თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1
უუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.
ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.
◆◆ ხელმისაწვდენ ფასებში ◆◆
მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ."
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

„სორაპნის" გამოცემა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად ივ. გომელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო
ქართველი მწერლები
ნაწილი პირველი. ფასი 1 მანეთი.
კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს დადგენილებით სასწავლებელში ამ წიგნის ხმარება ნება დართულია.
იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო წიგნი
ქართველი მწერლები
ნაწილი მეორე. ფასი 1 მ. 50 კაპ.
პარტიით მყიდველთ შეუძლიანთ მიმართონ თბილისში, წერა-კითხვის მაღაზიას და გამომცემელს. სტამბა „სორაპანი" მ. გაჩეჩილაძეს.
(10-295-8)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
„განათლება"-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартхиладзе.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგრელოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშონნა" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

[illegible]
სტ. „ცხოვრება" კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.